

ხელშეკრულება № 6
ოპტიკურ-ბოჭკოვანი
საკაბელო ხაზების გადატანაზე

25.04.2016წ.

თბილისი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

შპს "ქართლის ქარის ელექტროსადგური", ს/კ 404957338, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ყაზარაშვილის სახით, შემდგომში "დამკვეთად" წოდებული ერთი მხრივ, და

შპს "დელტა კომი", ს/კ 204991795, მისი დირექტორის პაატა ქიკოძის სახით შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული, მეორეს მხრივ

იღებენ რა მხედველობაში შემდეგს:

- ა) შემსრულებელს გააჩნია სპეციალიზაცია მსგავსი სამუშაოების შესრულებაში;
- ბ) შემსრულებელი მზადაა უზრუნველყოს კვალიფიციურ თანამშრომელთა შტატი, შესაბამისი საამქრო, დანადგარები და აღჭურვილობა, რაც საჭიროა ზემოთხსენებული სამუშაოს კვალიფიციურად შესასრულებლად, და იღებს ვალდებულებას მოახდინოს მუშა ხელისა და საშუალებების მობილიზაცია და მართვა დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად;

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. გორის მიმდებარე ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგურის პროექტით განსაზღვრული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას, შპს "დელტა კომი"-ს (მფლობელი) საკუთრებაში არსებული, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის მიწისქვეშა საკანალიზაციო ნაგებობიდან ამოღება, შესაბამისი მიწისზედა დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა და ზემოაღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ მიწისქვეშა საკანალიზაციო ნაგებობის მოწყობა და მასში ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის (საერთო სიგრძით 2400 გრძივი მეტრი) განთავსება.
- 1.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების №1 და №2 დანართებით.

2. სამუშაოების მოცულობა

- 2.1. შემსრულებელმა ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოები უნდა შეასრულოს დამტკიცებული დეტალური პროექტის, სამუშაო ნახაზების და ყველა სხვა საჭირო დეტალური დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 2.2. ყველა ზემოთხსენებული სამუშაო უნდა შესრულდეს ტექნიკური პირობების, მფლობელის მოთხოვნების, აგრეთვე ეროვნული სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.
- 2.3. სამუშაოების შესრულების შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება სათანადო მიღება ჩაბარების აქტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის პირობები

- 3.1. ხელშეკრულების ღირებულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შეადგენს 119 734.40 (ასცხრამეტიათას შვიდასოცდაათოთხმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 3.2. აღნიშნული თანხის გადახდა მოხდება შემდეგი წესით:

ა.ყაზ

- ა) სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთი ავანსის სახით გადაუხდის შემსრულებელს ხელშეკრულების ღირებულების 100%-ს.
- ბ) შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 პუნქტის ა. ქვეპუნქტით განსაზღვრულ საავანსო თანხას მიიღებს დამკვეთისათვის შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. საავანსო გადახდის საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს დამკვეთისთვის მისაღები ბანკის მიერ.
- გ) საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ორივე ეტაპის სამუშაოების სრულად დასრულების ვადას.
- დ) ყველა გადახდა განხორციელდება შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

4. ვალდებულებანი

4.1. შემსრულებელი ვალდებულია:

- ა) თავისი ძალებითა და საშუალებით შეასრულოს წინამდებარე კონტრაქტში აღნიშნული სამუშაოები სრული მოცულობით.
- ბ) დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.
- გ) შემსრულებელი აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული სამუშაოების შესრულებისთვის გააჩნია ყველა აუცილებელი ტექნოლოგია და კვალიფიციური პერსონალი.

4.2. დამკვეთი ვალდებულია:

- ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების შესაბამისად;
- ბ) სამუშაოების (როგორც მშენებლობის პირველი ეტაპის ასევე მშენებლობის მეორე ეტაპის) დაწყებამდე მოახდინოს ტრასის დაკვაღვა და შესაბამისი ნიშნულებით მონიშვნა, რათა შემსრულებელმა გაატაროს კაბელი ამ ნიშნულების შესაბამისად.
- გ) განახორციელოს ობიექტის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების დაცვით;
- დ) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის 1-ლი ეტაპის დასრულების შემდგომ 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ქ. გორში ქარის ელექტროსადგურის პროექტით განსაზღვრული ყველა სახის სამშენებლო, სამონტაჟო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, რაც საჭირო იქნება შემსრულებლის მიერ მშენებლობის მეორე ეტაპის დასაწყებათ, რის შესახებაც შემკვეთი წერილობით აცნობებს შემსრულებელს.
- ე) სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, სახელმწიფო ორგანოებისგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისგან, სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ყველა საჭირო ნებართვ(ებ)ის ან/და თანხმობ(ებ)ის მიღება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

4.3. დამკვეთი და შემსრულებელი ერთობლივად განიხილავენ ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცვლილება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნუსხაში მეორე მხარესთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

4.5. სამუშაოს შესრულების ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5. სამუშაოს შესრულების ვადები

ი.ყაჭ

[Handwritten signature]

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდება 2 ეტაპად, კერძოდ:

- წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ით განსაზღვრული სამუშაოების 1-ლი ეტაპის დასრულება შემსრულებელმა უნდა განახორციელოს სააგანსო გადახდის დღიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის ბ. ქვეპუნქტით განსაზღვრული დაკვალვის განხორციელებიდან (იმისდა მიხედვით, რომელიც უფრო გვიან მოხდება) 11 (თერთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ით განსაზღვრული სამუშაოების მე-2 ეტაპის დასრულება შემსრულებელმა უნდა განახორციელოს შემკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის დ. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისა და შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გამოგზავნიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. საჯარიმო სანქციები

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელი დამკვეთს და თავის მხრივ დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის პირგასამტეხლოს, მთლიანი თანხის 0.1%-ს ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
- 6.2. შემკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის დ. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს აღარ გააგრძელოს წარდგენილი საბანკო გარანტიის ვადა ან/და გამოიხმოს უკან აღნიშნული საბანკო გარანტია.

7. დავათა განხილვა

- 7.1. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადაო საკითხი მხარეთა შორის გადაწყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფორს მაჟორი

- 8.1. ორივე მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების ვერ შესრულებაზე, რომელიც გამოწვეულია ინჟინრის და/ან მთავარი დამკირავებლის მიერ დადასტურებული ისეთი ფორს-მაჟორული მდგომარეობით რომლებიც აფერხებს მიწის სათხრელ სამუშაოებს, როგორცაა: ხანძარი, ნალექები, წყალდიდობა, ინტენსიური წვიმა, განსაკუთრებით ცუდი ამინდი, გრუნტის მაღალი წყლები, მიწისძვრა, ომი, სამხედრო ოპერაციები, ხელისუფლების მოულოდნელი ქმედებები, რომლებიც აფერხებენ კონტრაქტის შესრულებას, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ფორს-მაჟორული სიტუაციები.
- 8.2. ის მხარე, რომლისთვისაც ზემოთხსენებული პირობების გამო შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულება ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.
- 8.3. მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწვეს იმდენი დღით რამდენი დღითაც ხსენებული ფორს-მაჟორული პირობები იყო ძალაში.

რ.ცაშ

რ.ცაშ

9. დასკვნითი დებულებანი

- 9.1. ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ქმედითია მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.
- 9.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითო ასლი თითოეული მხარისათვის.

მხარეები:

“დამკვეთი”

შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგური”

ს/კ 404957338

მის: თბილისი, ბარათაშვილის ქ. №8-10

რესპუბლიკა ბანკი

ა/ა GE11BR0000010061775786

თორნიკე ყაზარაშვილი



“შემსრულებელი”

შპს “დელტა კომში”

ს/კ 204991795

მის: თბილისი, გაფრინდაული 2

თიბისი ბანკი

ა/ა GE38TB0700000001467528

პაატა ქიქოძე




ხარჯთაღრიცხვა



გორის სატელევიზიო ანდის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს დელტა კომმის საკუთრებაში არსებული დ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკაბელო ქსელის (კანალიზაციის) სარეაბილიტაციო სამუშაოები

სამუშაოებისა და დანახარჯების დახასიათება,		განსომ.	რაოდ-ბა	ღირებულება ლარი		
მასალების დახასიათება				კრ.	სულ	
პირველი ეტაპი		3	4	5	6	
I საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები						
1	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟი	გრძ. მ	2400	2.0	4800.00	
2	ბოძების მითანა-მონტაჟი	ცალი	80	35.0	2800.00	
3	ქუროს წვერების დადუღება 96 წვერიან კაბელზე	ცალი	3	2200.0	6600.00	
სულ I					14200.00	
II საამშენებლო მასალები						
1	რკინა-ბეტონის ბოძი	ცალი	10	280.0	2800.00	
2	ბოძებზე კაბელის სამაგრის მოწყობილობა	ცალი	80	10.0	800.00	
3	ლითონის მილი - 3.5 მ -90მმ 70 (ცალი (ყოველ 30მ-ში))	გრძ. მ	245	14.0	3430.00	
4	ქურო 96 წვერიანი კაბელის (სასაერო)	ცალი	1	600.0	600.00	
სულ II					7630.00	
მეორე ეტაპი						
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები III						
1	ტრანშეას მოწყობა ტექნიკით და მიწის მიერა ხელით	გრძ. მ	2400	4.0	9600.00	
2	ჭების მოწყობა	ცალი	3	30.0	90.00	
3	პოლიეთილენის მილის განთავსება დ-40 მმ	გრძ. მ	2400	1.0	2400.00	
4	კაბელის დემონტაჟი-მონტაჟი	გრძ. მ	2400	4.0	9600.00	
5	კაბელის დადუღება ქუროში 96 წვერიანი	ცალი	3	2200.0	6600.00	
6	ბოძკინტების მოწყობა	ცალი	40	5.0	200.00	
სულ III					28490.00	
სამშენებლო მასალები IV						
1	პოლიეთილენის მილი დ-40 მმ	გრძ.მ	2400	3.0	7200.00	
2	კაბელი 96 წვერიანი	გრძ.მ	2400	6.0	14400.00	
3	სათვალთვალო ჭა	ცალი	3	250.0	750.00	
4	კომუნიკაციის არსებობის მანიშნებელი ბოძები	ცალი	40	15.0	600.00	
5	ქურო 96 წვერიანი	ცალი	3	1000.0	3000.00	
სულ IV					25950.00	
პირდაპირი დანახარჯები ჯამი დღგ-ს გარეშე					76270.00	
1	ზედნადები ხარჯები			8%	6101.60	
2	გემშიური დაგროვება			8%	6589.73	
სულ პროექტის ღირებულება დღგ-ს გარეშე					88961.33	
დღგ					18%	16013.04
ჯამი პროექტის ღირებულება					104974.4	



დანართი N 2 - ხარჯთაღრიცხვა



გორის სატელევიზიო ანძის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს დელტა კომმის საკუთრებაში არსებული დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკაბელო ქსელის (კანალიზაციის) სარეაბილიტაციო სამუშაოები

სამუშაოებისა და დანახარჯების დახასიათება,		განზომ.	რაოდ.	ღირებულება ლარი	
მასალების დახასიათება				ერთ.	სულ
2		3	4	5	6
I სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები					
1	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დემონტაჟი-მონტაჟი	გრძ. მ	550	4,0	2200,00
3	ქერის წვერების დაღუღება 96 წვერიანი კაბელზე	ცალი	192	22,0	4224,00
	სულ I				6424,00
II სამშენებლო მასალები					
1	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი 96 წვერიანი	გრძ. მ	550	6,0	3300,00
2	ქერო 96 წვერიანი კაბელის	ცალი	1	1000,0	1000,00
	სულ II				4300,00
	პირდაპირი დანახარჯები ჯამი დღგ-ს გარეშე				10724,00
1	ზედნაღები ხარჯები			8%	857,92
2	გემიური დაგროვება			8%	926,55
	სულ პროექტის ღირებულება დღგ-ს გარეშე				12508,47
	დღგ			18%	2251,53
	ჯამი პროექტის ღირებულება				14760,00

